„რომ არა სავალუტო ფონდი, ქვეყანა უმართავი იქნებოდა"

სოფიკო ოხანაშვილი

ვლადიმერ პაპავას წიგნის პრეზენტაციაზე.

გუშინ, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ვლადიმერ პაპავას წიგნის – "საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბრწყინვალება და სიღატაკე პოსტკომუნისტურ საქართველოში" – ინგლისური ვერსიის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი აშშ-ში დაიბეჭდა. ნაშრომი ეძღვნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის დადებით და უარყოფით მხარეებს. ავტორის თქმით, საერთაშორიო სავალუტო ფონდს ძალიან ცოტა მხადამჭერი ჰყავს. პაპავა დარწმუნებულია, რომ წიგნი, რომელიც საკმაოდ კრიტიკულია სსფ-სა და საქართველოს მთავრობის მიმართ, მიზნად ისახავს საქართველო-სსფ-ს ურთიერთობის გაღრმავებას და ხელს შეუწყობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდამჭერთა რიცხვის გაზრდას. **"მეგობარს შეცდომებზე უნდა მიუთითო კიდეც"**, - ასე ახსნა პაპავამ სსფ-სადმი კრიტიკული პოზიცია.

ავტორის განმარტებით, ნაშრომში საუბარია სსფ-სა და საქართველოს მთავრობის იმ გუნდის შეცდომებზე, რომელიც უშუალოდ მუშაობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. **"საერთაშორისო ფონდმა საქართველოს მთავრობას ურჩია, რომ ეროვნული ვალუტა არ შემოეღო და რუბლის ზონაში დარჩენილიყო. ეს იყო ყველაზე თვალსაჩინო შეცდომა, მაგრამ ეს შეცდომა სსფ-მ მხოლოდ საქართველოს მიმართ არ დაუშვა. ეს რჩევა სავალუტო ფონდმა პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა ქვეყანას მისცა."** პაპავა შეეხო სსფ-ს მიერ დაშვებულ სპეციფიკურ შეცდომებსაც. ერთ-ერთი ასეთი შეცდომაა დამატებითი ღირებულების გადასახადით მიწის დაბეგვრა. შეცდომების გარდა, წიგნში საუბარია სსფ-თან თანამშრომლობის დადებით მხარეებზე. **"კიდევ კარგი, სავალუტო ფონდი არსებობს და იგი ჩვენი პარტნიორია. კიდევ კარგი, სავალუტო ფონდი "იმუქრება", სინამდვილეში, კი არ იმუქრება – გვეხვეწება, რომ სახელმწიფო იყავითო. ეს საერთაშორისო ინსტიტუტი რომ არ იყოს, ქვეყანა საერთოდ არამართვადი იქნებოდა. სამწუხაროდ, სავალუტო ფონდი კვლავ ერთადერთ გარანტად რჩება, რომ ჩვენმა მთავრობამ იმაზე მეტი შეცდომა არ დაუშვას, რასაც ახლა უშვებს. სავალუტო ფონდი რომ არ იყოს, საქართველოს მთავრობაში გაცილებით დიდი ქაჯობა იქნებოდა"**, - განაცხადა პაპავამ.

ავტორის თქმით, წიგნი რეკომენდაციებსაც მოიცავს. ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია სავალუტო ფონდთან ურთიერთობის დარეგულირებას გულისხმობს.

"სავალუტო ფონდმა შეცვალა თავისი დამოკიდებულება. იგი უფრო მოქნილი და რბილი გახდა. რაც შეეხება ქართულ მხარეს - გაერო-ში დასმენის მუქარის ნაცვლად, თუ შევარდნაძეს აქვს ჯადოსნური ჯოხი, რომლის დაქნევითაც მინისტრებს ნაყოფიერ მუშაობას აიძულებს, დაიქნიოს, თუ უფრო მარტივ გზას მიმართოს და შეცვალოს მთავრობის ის გუნდი, რომელიც ვერ ასრულებს თავის მოვალეობას", - ასეთია სსფ-სთან ურთიერთობის დარეგულირების პაპავასეული ვერსია.

წიგნის ქართული ვერსია 2000 წელს გამოვიდა, 2001–ში კი ნაშრომი რუსულ ენაზეც გამოიცა.